

## 2016 წლის საერთაშორისო ანგარიში რელიგიის თავისუფლების შესახებ

### საქართველო

#### მოკლე შინაარსი

კონსტიტუციით დაცულია „რელიგიის სრული თავისუფლება“, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა და ყველა მოქალაქის თანასწორობა რელიგიის მიუხედავად. კონსტიტუცია კრძალავს მოქალაქის დევნას რელიგიის საფუძველზე. კანონები და პოლიტიკა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას (სმე) ანიჭებს პრივილეგიებს, რომელიც სხვა რელიგიურ ჯგუფებს არ გააჩნიათ, მათ შორისაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის სამართლებრივი ხელშეუხებლობა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკონსულტაციო როლი განათლების სფეროში. წლის განმავლობაში მთავრობამ სავარაუდო რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი 19 საქმე გამოიძია. არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადეს, რომ რელიგიური სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა არაქმედითი გამოძიება უმთავრეს პრობლემად რჩებოდა. მთავრობის ინფორმაციით, შეიარაღებული ძალების წევრთათვის პირველი მუსლიმური სალოცავი გაიხსნა. მაგრამ სასჯელადსრულების დაწესებულებებში კვლავ მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სალოცავები მოქმედებდა. ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ და რელიგიურმა უმცირესობამ განაცხადა, რომ მთავრობა, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების მიერ რელიგიური დანიშნულების ნაგებობათა აშენებას ეწინააღმდეგებოდა. ადგილობრივმა სასამართლოებმა რუსთავსა და ბათუმში ორი შენობის მშენებლობის საქმეებზე რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღეს. რელიგიური და არასამთავრობო ორგანიზაციები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს აკრიტიკებდნენ. აღნიშნულმა სააგენტომ საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები გაანაწილა. ამავე დროს, სააგენტო რელიგიურ საკუთრებათა საკითხებში მთავრობის საკონსულტაციო უწყების ფუნქციებსაც ასრულებდა. არასამთავრობო ორგანიზაციები და რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფები კვლავ წუხდნენ ფავორიტიზმის გამო, რომელიც მათი თქმით, საბჭოთა პერიოდში სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეული შენობების დაბრუნების საკითხში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ ვლინდებოდა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მთავრობა განაგრძობდა საჯარო სკოლებში რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის შემთხვევებზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ არასათანადო რეაგირებას.

რელიგიურ საქმიანობათა შეზღუდვა გრძელდებოდა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რეგიონებში, რომლებიც ცენტრალური მთავრობის კონტროლის მიღმა რჩებოდნენ. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ანგარიშის თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლებს აფხაზეთში რელიგიური მსახურების საშუალება არ ეძლეოდათ, აგრეთვე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ძეგლებსა და საეკლესიო ფრესკებს აზიანებდნენ. ჟურნალისტური წყაროების თანახმად, იეჰოვას მოწმეებს სამხრეთ ოსეთში ოფიციალურ რელიგიურ ჯგუფად აღიარებაზე უარი ეთქვა, აფხაზეთში კი აიკრძალა. ვრცელდებოდა ცნობები რელიგიურ უმცირესობათა

წინააღმდეგ ძალადობის შესახებ. იეჰოვას მოწმეებმა მათ წევრებზე ფიზიკური თავდასხმის 11 ფაქტის შესახებ განაცხადეს. რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლები კვლავ იუწყებოდნენ, მათივე სიტყვებით, საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული რწმენის შესახებ, რომ რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფები საფრთხეს უქმნიან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებს. არასამთავრობო ორგანიზაციამ „მედიის განვითარების ფონდი“ ეროვნული მედიით გავრცელებული რელიგიური შეუწყნარებლობის შემცველი 69 განცხადება დოკუმენტურად აღრიცხა.

აშშ-ის ელჩი და საელჩოს თანამშრომლები კვლავ რეგულარულად ხვდებოდნენ მთავრობის მაღალჩინოსნებს, მათ შორის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელობას, პრემიერ-მინისტრის მრჩეველს ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, პრეზიდენტის მრჩეველს უმცირესობათა საკითხებში, რათა მთავრობისა და რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების დიალოგისათვის შეეწყოთ ხელი. თებერვალსა და ნოემბერში ელჩი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს შეხვდა, რათა ხაზი გაესვა, თუ რა მნიშვნელოვანია რელიგიური მრავალფეროვნებისა და შემწყნარებლობის ხელშეწყობის საკითხში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი. ელჩი და საელჩოს თანამშრომლები რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფებთან შესახვედრად მთელ ქვეყანაში მოგზაურობდნენ. აპრილში საელჩომ სამოქალაქო საზოგადოების ოთხი წარმომადგენელი საგანგებო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად შეერთებულ შტატებში გაგზავნა. პროგრამა ეხებოდა რელიგიის თავისუფლებისა და საზოგადოებასთან მუშაობის საკითხებს ძალადობრივ ექსტრემიზმის მიმართ საზოგადოებრივი წინააღმდეგობის ჩამოსაყალიბებლად.

## ნაწილი I. რელიგიური დემოგრაფია

აშშ-ის მთავრობის შეფასებით, [საქართველოს] მოსახლეობა 4.9 მილიონია (2016 წლის ივლისის მონაცემები). 2014 წლის აღწერის თანახმად, ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანები მოსახლეობის 83.4 პროცენტს შეადგენენ, მუსლიმები - 10.7 პროცენტს, სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები - 2.9 პროცენტს. აღწერის თანახმად, მოსახლეობის დარჩენილი 3 პროცენტი რომის კათოლიკური ეკლესიის მრევლი, ქურთი იეზიდის, ბერძენი მართლმადიდებელი, ებრაელი, აგრეთვე ბაპტისტების, იეჰოვას მოწმეების, სახარების რწმენის ეკლესიისა და კრიშნას შემეცნების საერთაშორისო საზოგადოების მსგავსი მზარდი, არატრადიციული რელიგიური ჯგუფის წევრი, ან ათეისტია.

ეთნიკურობას, რელიგიურ კუთვნილებასა და საცხოვრებელ რეგიონს შორის ძლიერი ურთიერთკავშირია. ეთნიკური ქართველების უმრავლესობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრია. ეთნიკურად უმეტესად რუსების მცირე რაოდენობა თავს მიაკუთვნებს რამდენიმე მართლმადიდებელ ჯგუფს, მათ შორის, მალაკნებს, სტაროვერელებსა და დუხოზორებს, რომელთაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან კავშირი არ აქვთ. ეთნიკური აზერბაიჯანელები უმეტესად შიიტი მუსლიმები არიან და საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონის, ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. სხვა მუსლიმური ჯგუფებია ეთნიკურად ქართველი მუსლიმები აჭარაში და ჩეჩენი ქისტები ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში, რომელთა უმრავლესობა სუნიტი მუსლიმია. აჭარიდან ეთნიკურად ქართველი სუნიტი მუსლიმების სამცხე-

ჯავახეთში მიგრაცია 1980-იან წლებში მოხდა. ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა უმთავრესად სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლია. სომეხი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ.

აღწერის თანახმად, რომელიც, გადმოცემით, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობამ 2011 წელს ჩაატარა, აფხაზეთში 241 000 მოსახლეა. დე-ფაქტო მთავრობის მიერ, სავარაუდოდ, 2003 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად, აფხაზეთის მოსახლეობის 60 პროცენტი ქრისტიანი, 16 პროცენტი მუსლიმი, 8 პროცენტი ათეისტი, 8 პროცენტი პრექრისტიანული აფხაზეთი რელიგიის მიმდევარი და 1 პროცენტი იეჰოვას მოწმე, ებრაელი, ან სხვა რელიგიის მიმდევარია, ხოლო მოსახლეობის დარჩენილი 6 პროცენტი გადაუწყვეტელია.

2015 წლის აღწერის თანახმად, რომელიც, გადმოცემით, სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო მთავრობამ ჩაატარა, სამხრეთ ოსეთში 53,000 მოსახლეა. მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანულ რელიგიას მისდევს. დანარჩენები მუსლიმები და ახლახან აღორძინებული პრექრისტიანული ოსური რელიგიის, „ჭემმარტი რწმენის“ მიმდევრები არიან.

## **ნაწილი II. მთავრობის მიერ რელიგიის თავისუფლების პატივისცემა. კანონმდებლობა**

კონსტიტუცია უზრუნველყოფს „რელიგიის სრულ თავისუფლებას“ და ყველას თანასწორობას რელიგიის მიუხედავად. კონსტიტუცია კრძალავს დევნას რელიგიის ნიადაგზე და კრძალავს მოქალაქის იძულებას, გამოთქვას აზრი რელიგიის შესახებ. კონსტიტუცია აგრეთვე კრძალავს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებიც რელიგიურ შუღლს აღვივებენ. კანონი უზრუნველყოფს რელიგიური რწმენის, კონფესიისა და სინდისის თავისუფლებას, მათ შორის რელიგიური კუთვნილების არჩევისა და შეცვლის უფლებას.

კონსტიტუცია აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, მაგრამ განსაზღვრავს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელია და ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს აწესრიგებს საკონსტიტუციო შეთანხმება (კონკორდატი). კონკორდატი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს უფლებებს, რომელიც სხვა რელიგიურ ჯგუფებს არ გააჩნიათ, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელი კატორქის სამართლებრივი ხელშეუხებლობა, მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა გათავისუფლება სამხედრო სამსახურისაგან და საკონსულტაციო როლი მთავრობაში, განსაკუთრებით განათლების საკითხებში. კონკორდატი მიხედვით, მისი პირობები, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკონსულტაციო როლის შესახებ საგანმანათლებლო სფეროში, ამოქმედებამდე დამატებითი საკანონმდებლო ნორმების მიღებას საჭიროებს.

რელიგიური ჯგუფს შეუძლია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, ან არაკომერციულ ორგანიზაციად დარეგისტრირდეს. ორივე სტატუსი უმთავრესად ერთსა და იმავე სარგებელს იძლევა, მათ შორის, საქმიანობის სამართლებრივ აღიარებას, ნაწილობრივ საგადასახადო შეღავათებს და ქონებისა ფლობისა და საბანკო

ანგარიშის გახსნის უფლებას. დაურეგისტრირებელ რელიგიურ ჯგუფებს რელიგიური საქმიანობა შეუძლიათ, მაგრამ ვერ მიიღებენ სამართლებრივ სტატუსს, ან სარგებელს, რომელიც რეგისტრირებულ ჯგუფებზე ვრცელდება.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დასარეგისტრირებლად ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ქვეყანასთან ისტორიული კავშირები, ან რელიგიური ორგანიზაციის სტატუსის სამართლებრივი აღიარება ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოებისაგან. კანონი არ განმარტავს, თუ ვინ განსაზღვრავს, რა ითვლება „ისტორიულ კავშირებად.“ ამას გარდა, ორგანიზაციამ, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირდება, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უნდა წარადგინოს ინფორმაცია მისი მიზნებისა და [საორგანიზაციო] პროცედურების შესახებ და ჩამოწეროს ორგანიზაციის დამფუძნებელთა და მმართველი ორგანოს წევრთა სია. იმ კონფესიათა საქმიანობასა და უფლებებს, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით დარეგისტრირდნენ, სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს. არაკომერციულ რელიგიურ ორგანიზაციებად დარეგისტრირებული ჯგუფები ვალდებული არ არიან, წარმოადგინონ ქვეყანასთან ისტორიული კავშირები, ან ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთაგან სამართლებრივი აღიარება, მაგრამ მათაც მოეთხოვებათ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ორგანიზაციის მიზნებისა და საორგანიზაციო პროცედურების შესახებ, აგრეთვე დამფუძნებელთა და მმართველი ორგანოს წევრთა სახელების წარდგენა.

საგადასახადო კოდექსი რელიგიურ საქმიანობას ეკონომიკურ საქმიანობად არ მიიჩნევს. ის რეგისტრირებულ რელიგიურ ჯგუფებს შემოწირულობებისათვის ნაწილობრივ საგადასახადო შეღავათს ანიჭებს. რელიგიური ჯგუფები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, გაყიდულ რელიგიურ პროდუქციაზე იხდიან მოგების გადასახადს, რელიგიური პროდუქციის იმპორტისას - დამატებითი ღირებულების გადასახადს, აგრეთვე გადასახადებს ყველა საქმიანობისათვის, რომელიც მშენებლობას, რესტავრაციასა და რელიგიური შენობების შენახვას უკავშირდება.

საკუთრების შესახებ კანონის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირად დარეგისტრირებულ არცერთ რელიგიურ ორგანიზაციას, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, არ აქვს უფლება, შეიძინოს სახელმწიფოს კუთვნილი არასასოფლო-სამეურნეო მიწა პირდაპირი მიყიდვის წესით. კონფესიას, რომელიც არაკომერციულ ორგანიზაციადაა დარეგისტრირებული, აქვს უფლება, შეიძინოს სახელმწიფო საკუთრება. კანონი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აგრეთვე ანიჭებს უფლებას, მიიღოს სახელმწიფოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწა უფასოდ, იმ დროს, როდესაც სხვა რელიგიურმა ჯგუფებმა მიწაში ფული უნდა გადაიხადონ.

სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს რელიგიური მსახურებისათვის ხელის შეშლას, ადამიანის დევნას რელიგიური რწმენის, ან მრწამსის გამო, აგრეთვე რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნებისათვის ხელის შეშლას, თუმცა კოდექსი არ განმარტავს, რას ნიშნავს „დაფუძნება“ აზრის ამგვარი ფორმულირებით. კანონდარღვევები ისჯება ჯარიმით, პატიმრობით, ან ორივე სასჯელით ერთად. კანონდარღვევა, ჩადენილი საჯარო პირის, ან მოხელის მიერ ითვლება ძალაუფლების გადამეტებად და ისჯება ჯარიმით, ან ხანგრძლივი პატიმრობით, თუ ის ჩადენილია იარაღის მუქარით, ან მსხვერპლის ღირსების შემლახველი

ქმედებით. რელიგიური დევნის შემთხვევებში, დამნაშავეს, შესაძლოა, სამწლიანი პატიმრობა მიესაჯოს იმის მიხედვით, დანაშაული მუქართაა ჩადენილი, თუ ძალადობით, დამნაშავე ოფიციალური პირია, თუ არა და მიაყენა თუ არა მან მსხვერპლს ზარალი. რელიგიური რიტუალების აღსრულებაში მუქართ, ან ძალადობით უკანონო ხელის შეშლის შემთხვევებში, დამნაშავეები, შესაძლოა, დააპატიმრონ ორ წლამდე ვადით, ან თუ დამნაშავეს ოფიციალური თანამდებობა უკავია, ხუთ წლამდე ვადითაც. რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნებისათვის ხელის შეშლა ისჯება ჯარიმით, გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ან ორ წლამდე პატიმრობით.

კანონის თანახმად, მთავარი პროკურატურა იძიებს ადამიანის უფლებათა დარღვევებს, რომელიც რელიგიურ შეუწყნარებლობის მოტივითაა ჩადენილი. მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა განყოფილება თვალს ადევნებს რელიგიის თავისუფლების დაცვას. სახალხო დამცველის ოფისის მოვალეობა კი ქვეყნის ადამიანის უფლებათა ომბუდსმენობა და რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებზე დაწერილი საჩივრების მონიტორინგია. სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი კოორდინაციას უწევს სახალხო დამცველის ოფისის რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს, ატარებს საგანმანათლებლო აქტივობებს, თვალს ადევნებს და აანალიზებს რელიგიური და ეთნიკური დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის შემთხვევებს.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო მუსლიმურ, ებრაულ, რომის კათოლიკურ და სომხური სამოციქულო ეკლესიის რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად არიან დარეგისტრირებულნი, უნაწილებს სახელმწიფო კომპენსაციას იმ „მატერიალური და მორალური ზიანისათვის, რაც მათ საბჭოთა პერიოდში მიადგათ.“ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს განცხადებით, მისი ამოცანაა თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპებზე დაფუძნებული მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშეწყობა და უზრუნველყოფა. რელიგიის პოლიტიკის შესახებ სააგენტოს სტრატეგიის სამუშაო ვერსიაში, რომელიც 2014 წლის თებერვალში გამოქვეყნდა, წერია, რომ სააგენტოს უმთავრეს პასუხისმგებლობათა შორისაა არსებული რელიგიური ვითარების შესწავლა და მთავრობისათვის ანგარიშის წარდგენა; მთავრობისათვის რეკომენდაციებისა და საკანონმდებლო აქტების მომზადება; მთავრობისთვის კონსულტაციის გაწევა და მთავრობის სახელით შუამავლობა უთანხმოებებისას, რომელიც რელიგიურ გაერთიანებებს შორის წარმოიშვება; აგრეთვე რელიგიურ ნაგებობათა მშენებლობის საკითხზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის რეკომენდაციების შემუშავება, ნაგებობათა ადგილმდებარეობის განსაზღვრა და ამგვარ საკუთრებათა რელიგიური ორგანიზაციებისათვის გადაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონის თანახმად, საჯარო სკოლები რელიგიური ინდოქტრინიზაციისათვის, პროზელიტიზმისა და იმპულსებითი ასიმილაციისათვის არ უნდა გამოიყენებოდეს, კონკორდატი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უფლებას აძლევს, ასწავლოს მისი რელიგია საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ნებას რთავს სახელმწიფოს, დააფინანსოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიური სკოლები. კანონის მიხედვით, მოსწავლეს უფლება აქვს, დაეუფლოს რელიგიურ განათლებას და აღასრულოს რელიგიური რიტუალები სკოლებში “საკუთარი სურვილით” რელიგიური განათლების მისაღებად, მაგრამ მხოლოდ სასკოლო საათების შემდეგ. კანონი არ

ითვალისწინებს კერძო რელიგიური სკოლებისათვის საგანგებო რეგულაციებს. გარეშე ინსტრუქტორებს, მათ შორის, რელიგიის მსახურებს, უფლება აქვთ, დაესწრონ, ან უხელმძღვანელონ მოსწავლეთა რელიგიურ განათლებას, ან აქტივობებს, თუ ისინი პირდაპირ მოწვეულნი არიან პირადად მოსწავლეთა მიერ. სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს ამ პროცესში ჩარევის უფლება არ აქვთ.

საქართველო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო შეთანხმების ხელმომწერი მხარეა.

## **მთავრობის ქმედებები**

მიუხედავად მთავარი პროკურატურის განცხადებისა, რომ მან, სავარაუდოდ, რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი 19 დანაშაული გამოიძია, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველის ოფისი კვლავ აცხადებდნენ, რომ მთავრობა არაქმედითად იძიებდა რელიგიური სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებებს. არასამთავრობო ორგანიზაციები და რელიგიური უმცირესობები კვლავ გამოთქვამდნენ წუხილს როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი მთავრობების ქმედებების გამო, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ რელიგიურ უმცირესობათა სალოცავების მშენებლობას და ავლენდნენ, მათი სიტყვებით, ფავორიტიზმს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ საბჭოთა დროში ჩამორთმეული შენობების დაბრუნების საკითხის განხილვისას. ისინი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსაც აკრიტიკებდნენ საბჭოთა დროში მიღებული ზიანის საკომპენსაციო თანხების განაწილების გამო. მთავრობის წინააღმდეგობის მიუხედავად, იყო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება რელიგიურ უმცირესობათა უფლებათა სასარგებლოდ, ააშენონ სალოცავები და სკოლები. სულ ცოტა, ერთმა ჯგუფმა, იეჰოვას მოწმეებმა, ახალი სალოცავი გახსნეს. მთავრობამ შეიარაღებული ძალების წევრებისათვის პირველი მუსლიმური სალოცავი გახსნა, მაგრამ სასჯელალსრულების დაწესებულებებში ისევ მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გააჩნდა სალოცავები. მთავრობამ 2016-17 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმას რელიგიურ უმცირესობათა დაცვის თავი ჩაამატა. ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ და სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადეს, რომ მთავრობამ არასათანადო ზომები მიიღო საჯარო სკოლებში რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება წარმოადგენდა.

მთავარმა პროკურატურამ წლის განმავლობაში, სავარაუდოდ, რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი 19 დანაშაული გამოიძია. 19 საქმეს შორის იყო 1 ცემა, 5 რელიგიური მსახურებისათვის უკანონო ხელის შეშლა, 12 რელიგიური ნიშნით დევნა და 1 ქონების დაზიანება, ან განადგურება. მთავარი პროკურატურის თანახმად, რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის გამო 12 პირი პასუხისგებაში მიეცა, მათ შორის, 10 რელიგიური ნიშნით დევნისა და 2 რელიგიური მსახურებისათვის უკანონო ხელის შეშლის გამო. ოთხი საქმე შეწყდა და სხვა ზომები მიღებული არ ყოფილა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“ (TDI) რელიგიური სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა არაეფექტურ გამოძიებებზე

საუბრობდა. სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშში კვლავ ეწერა, რომ, სავარაუდოდ, რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა არაეფექტური გამოძიება უმთავრეს პრობლემად რჩებოდა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდის თანახმად, სააგენტომ რელიგიურ ორგანიზაციათა მიერ შეტანილი ყველა სარეგისტრაციო განაცხადი ჩაიბარა, თუმცა სააგენტო განაცხადების რაოდენობაზე არაფერს ამბობს. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო წლის ბოლო ანგარიშში აღნიშნა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით 39, ხოლო არაკომერციულ ორგანიზაციად „ათობით“ რელიგიური ორგანიზაცია დარეგისტრირდა.

გავრცელებული ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა უმეტესობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სალოცავები იყო მოწყობილი, მაგრამ არ არსებობდა ადგილები არაკონფესიური ლოცვისათვის. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანახმად, მოთხოვნის შემთხვევაში, შეიარაღებულ ძალებსა და საპატიმროებში ხელმისაწვდომი იყო რომის კათოლიკური, სომხური სამოციქულო, ბაპტისტური, მუსლიმური და ებრაული ღვთისმსახურება.

6 მარტს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თინა ხიდაშელმა შეიარაღებულ ძალებში მომსახურე მუსლიმებისათვის პირველი სალოცავი გახსნის შესახებ განაცხადა. მან აგრეთვე თქვა, რომ დამატებით კიდევ ორი მუსლიმური სალოცავი გაიხსნებოდა.

ტოლერანტობის ცენტრის თანახმად, არამართლმადიდებელი ეკლესიები მშენებლობის ნებართვების აღების მცდელობისას კვლავ მთავრობის წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. ტოლერანტობის ცენტრი ამგვარ წინააღმდეგობას კვლავ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ არსებული ზოგადი საზოგადოებრივი მიკერძოებით ხსნიდა.

ივნისში რუსთავის საქალაქო სასამართლომ რუსთავის მუნიციპალიტეტს რომის კათოლიკური ეკლესიისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემა დაავალა. რუსთავის მუნიციპალიტეტმა სასამართლოს განაჩენი ნოემბერში გაასაჩივრა. ამ ინფორმაციას ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი ავრცელებს. ის საქალაქო სასამართლოში რომის კათოლიკური ეკლესიას წარმოადგენდა. წლის ბოლოსათვის აპელაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოში განხილვას ელოდებოდა. სასამართლოს თარიღი ჩანიშნული არ იყო.

იეჰოვას მოწმეებმა თერჯოლაში თავისი სამეფო დარბაზის მშენებლობა დაასრულეს და იქ რელიგიურ მსახურებას შეუდგნენ. ამ ფაქტს წინ უძღოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის ბრძანება, რომლითაც თერჯოლის მუნიციპალიტეტს მის მიერ შეჩერებული სამშენებლო ნებართვის ხელახლა გაცემა დაევა. იეჰოვას მოწმეებისა და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია იმის შესახებ, იყო თუ არა მუნიციპალიტეტის ქმედება დისკრიმინაციული, როდესაც თავდაპირველი ნებართვა შეაჩერა. უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა იეჰოვას მოწმეებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჩივრების განხილვასა და არგუმენტების მოსმენაზე იმის დასადგენად, მოხდა თუ არა დისკრიმინაცია.

რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტო კვლავ თავმჯდომარეობდა რელიგიურ ორგანიზაციათა საკუთრებისა და ფინანსურ საკითხთა შემსწავლელ სარეკომენდაციო კომისიას. აღნიშნულმა კომისიამ გასცა შესასრულებლად არასავალდებულო რეკომენდაციები რელიგიურ ორგანიზაციათა საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის თანახმად, კომისია აგრძელებდა რეკომენდაციების გაცემას მხოლოდ იმ საკუთრებებზე, რომელზე პრეტენზიაც მხოლოდ ერთ რელიგიურ ჯგუფს გააჩნდა. კომისიას არ განუხილავს იმ საკუთრებათა გადაცემის საკითხები, რომელიც ორი, ან მეტი რელიგიური ორგანიზაციის უთანხმოების საგანი იყო.

სომხური სამოციქულო ეკლესია კვლავ ითხოვდა თბილისში განთავსებული სამი და ახალციხეში განთავსებული ერთი ეკლესიის დაბრუნებას. ყველა ეს საკუთრება რეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრება და მასზე სომხური სამოციქულო და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიები აცხადებენ პრეტენზიას. სომხური სამოციქულო ეკლესიის თანახმად, ის საქართველოში 57 ეკლესიას განაგებდა, მაგრამ ფორმალურად არცერთ მათგანზე არ გააჩნდა საკუთრების უფლება.

მუსლიმური თემი კვლავ დაობდა ქვემო ქართლში, ადიგენსა და აჭარაში მთავრობის საკუთრებაში არსებული მეჩეთების გამო. მუსლიმური თემის ლიდერები და ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ თანხმდებოდნენ ყველა მხარისათვის მისაღებ გამოსავალზე, რასაც მლოცველებით გადავსებული ბათუმის მეჩეთის პრობლემა უნდა გადაეჭრა, მეჩეთისა, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა. მთავრობამ გააკეთა რამდენიმე მონახაზი არსებული მეჩეთის გადაკეთებისა და გაფართოებისათვის, მაგრამ წლის ბოლოსათვის შეთანხმება შენობის გადაკეთებასთან დაკავშირებით მიღწეული არ იყო. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველომ ბათუმში მთავრობის ფულით პირველი მედრესე შეიძინა. არასამთავრობო ორგანიზაციები და მუსლიმური თემი აცხადებდნენ, რომ მთავრობა სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოზე პირდაპირ ზემოქმედებას განაგრძობდა.

ოქტომბერში, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ადგილობრივმა სამართალდამცველებმა სამცხე-ჯავახეთის სოფელ მოხეში განთავსებული შენობის შესასვლელი გადაკეტეს. აღნიშნული შენობის საკუთრებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ ადგილობრივი მუსლიმები, აგრეთვე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი. მუსლიმები ამბობდნენ, რომ ეს მე-20 საუკუნის მეჩეთი იყო. ქრისტიანები კი ამბობდნენ, რომ ამ ადგილას უწინ ეკლესია არსებობდა. სამართალდამცველებმა შენობის შესასვლელი მას შემდეგ გადაკეტეს, რაც მუსლიმური თემის წარმომადგენლებმა იქ ყოველდღიურად შეკრება და ლოცვა დაიწყეს. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ განაცხადა, რომ მისი ორგანიზებით წლის დასაწყისიდან ოქტომბრამდე ხუთი ოფიციალური და ათი არაოფიციალური შეხვედრა გაიმართა, რათა კონსენსუსზე დაფუძნებული შეთანხმებისათვის შეეწყობოთ ხელი. დეკემბერში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს კომისიამ შენობის სტატუსთან დაკავშირებით გამოსცა რეკომენდაცია, რომ მუსლიმური თემისათვის სოფლის ცენტრში ახალი მეჩეთის ასაშენებლად რამდენიმე ადგილი შეეთავაზებინათ, სადაო შენობისათვის კი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭებინათ. სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადა, რომ რელიგიის საკითხთა



სახელმწიფო სააგენტოს კომისიამ ადგილობრივ მუსლიმთა და ქრისტიანთა შორის ორწლიანი დავა ვერ გადაჭრა და რომ კომისიამ ვერ შეასრულა გაცხადებული მიზანი, რომელიც შენობის წარმომავლობისა და საკუთრების საკითხის დადგენას გულისხმობდა. წლის ბოლოსათვის აღნიშნულ საქმეს სხვა გაგრძელება აღარ მოჰყოლია.

მთავრობა განაგრძობდა თანხების გამოყოფას იმ რელიგიურ საკუთრებათა აღსადგენად, რომელსაც ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად მიიჩნევდა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ წლის განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში რელიგიურ ნაგებობათა აღსადგენად 557 000 ლარი (209 000 დოლარი) გამოყო, მაგრამ არ დაუზუსტებია, ფული როგორ დახარჯა.

სექტემბერში ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ქობულეთის მაცხოვრებლებმა მუსლიმების წინააღმდეგ დისკრიმინაციული ქმედება ჩაიდინეს. შენობის კარზე, სადაც მუსლიმური სკოლა-პანსიონის განთავსება იყო დაგეგმილი მაცხოვრებლებმა ღორის თავი მიაჭედეს, შენობის სიახლოვეს კი ჯვარი აღმართეს, რის გამოც სკოლის გახსნა გადაიდო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირებს, რომლებიც ვანდალიზმში მონაწილეობდნენ, კომპენსაციის გადახდა დაეკისრათ. ოქტომბერში სკოლა-პანსიონის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სასწავლებლის გახსნას 2017 წლისთვის აპირებდნენ. სასამართლოს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, მონაწილეობდნენ, თუ არა მუსლიმთა წინააღმდეგ დისკრიმინაციაში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებიც, როდესაც 2014 წლის ინციდენტისას ადგილობრივ მაცხოვრებელთა ქმედებები ვერ აღკვეთეს. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ქმედებებზე არაფერი იყო ნათქვამი. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი ელოდა, რომ სააპელაციო სასამართლო მის აპელაციას ახალი წლის დადგომიდან მალევე განიხილავდა.

არასამთავრობო ორგანიზაციები განაგრძობდნენ ინფორმაციის გავრცელებას სკოლებში რელიგიური დისკრიმინაციის შემთხვევებზე, მათ შორის, ინციდენტებზე, რომელიც რელიგიის გაკვეთილებზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თეოლოგიის დანერგვას, სასკოლო ოთახებში მართლმადიდებლური ლოცვების კითხვას, აგრეთვე სკოლებში ხატებისა და სხვა რელიგიური სიმბოლოების გამოფენას მოიცავდა, მიუხედავად იმისა, რომ კანონი პროზელიტიზმს კრძალავს. სახალხო დამცველის ოფისმა ყოველწლიურ მოხსენებაში განაცხადა, რომ მოსწავლეები, რომლებიც რელიგიურ უმცირესობებს ეკუთვნოდნენ და არ მისდევდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიურ რიტუალებს, თავისუფლად ვერ ახერხებდნენ საკუთარი რელიგიის გამჟღავნებას და ნების საწინააღმდეგოდ, იძულებულნი იყვნენ, მართლმადიდებლურ რიტუალებში მიეღოთ მონაწილეობა. მასწავლებლების შეუსაბამო საქციელთან დაკავშირებულ საჩივრებზე პასუხისმგებლობა კვლავ განათლების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ეკისრებოდა.

აგვისტოში ქართველ მუსლიმთა კავშირმა (არასამთავრობო ორგანიზაცია), საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტურმა ეკლესიამ, საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიამ, საქართველოს ევანგელურ-ლუთერანულმა ეკლესიამ და დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესიამ საქართველოში, რომელთაც თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლის კლინიკა და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების

ინსტიტუტი წარმოადგენდნენ, არამართლმადიდებელი რელიგიური ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო ქონების გადაცემის საკითხში მთავრობის მხრიდან დისკრიმინაციის თაობაზე საკონსტიტუციო სარჩელი შეტანეს. წლის ბოლოსათვის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის განხილვა დაწყებული არ ჰქონდა.

დეკემბერში საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის ოქტომბერში შეტანილი სარჩელის განხილვა დაიწყო. სარჩელით ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, ქართველ მუსლიმთა კავშირი, საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური გაერთიანება, საქართველოს ეკლესია „სიცოცხლის სიტყვა“, წმიდა სამების ეკლესია და ქრისტეს ეკლესია ყველა რელიგიური გაერთიანებისათვის ერთნაირ საგადასახადო სტატუსს ითხოვდნენ. სასამართლომ საქმის განხილვა მისი დაწყებიდან მალევე გადადო, როგორც განიმარტა, სათანადო ექსპერტის არყოფნის გამო. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა, რომელიც თავისუფალი უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლის კლინიკასთან ერთად, მოსარჩელე მხარეებს წარმოადგენდა, განაცხადა, რომ საქმის განახლებას 2017 წელს ელოდა.

მთავრობამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საბჭოთა დროს მიყენებული „მატერიალური და მორალური ზიანის“ საკომპენსაციოდ 25 მილიონი ლარი (9.4 მილიონი დოლარი) გადასცა. პარლამენტის 2014 წლის დადგენილებამ მთავრობას უფლება მისცა, კომპენსაცია გადაუხადოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ მუსლიმურ, ებრაულ, რომის კათოლიკურ და სომხურ სამოციქულო რელიგიურ გაერთიანებებს. დადგენილების შესაბამისად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით, ხსენებულ ოთხ რელიგიურ გაერთიანებას საერთო ჯამში 4.5 მილიონი ლარის (1.7 მილიონი დოლარი) კომპენსაცია გადაუხადა. არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავ კითხვის ქვეშ აყენებდნენ კრიტერიუმებს, რომლითაც მთავრობამ ოთხი კონფესია გამოარჩია და განაგრძობდნენ მთავრობის კრიტიკას სხვა სარწმუნოებათა უგულვებელყოფის გამო.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ საანგარიშო წლის განმავლობაში მთავრობის მიერ გაცემული თანხების შესახებ შემდეგი ინფორმაცია გაავრცელა: 2 750 000 ლარი (\$1 000 000) მუსლიმურ თემს და მის წარმომადგენელ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს; 550 000 ლარი (\$207 000) რომის კათოლიკური ეკლესიას; 800 000 ლარი (\$300 000) სომხურ სამოციქულო ეკლესიას; და 400 000 ლარი (\$150 000) ებრაულ თემს. თანხების გაცემისას, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ განაცხადა, რომ კომპენსაცია იყო “ნაწილობრივი და სიმბოლური ხასიათის,” და დასძინა, რომ შერჩევის პროცესში, მთავრობა მიყენებული ზიანის მოცულობასა და კონფესიათა „დღევანდელ ცუდ პირობებს“ ითვალისწინებდა.

ივნისში მთავრობამ 2016-17 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. გეგმაში შეტანილი იყო თავი რელიგიურ უმცირესობათა დაცვის შესახებ. სპეციფიკურ ამოცანებს შორის დასახული იყო საჯარო მოხელეთა შორის რელიგიური შემწყნარებლობის ამაღლება, მოქმედი კანონმდებლობის გადახედვა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხში ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების დასაცავად; აგრეთვე

სეკულარიზმისა და რელიგიური თანასწორობის პრინციპის განხორციელება საგანმანათლებლო სისტემაში. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა გამოხატა წუხილი სამოქმედო გეგმის იმ რეკომენდაციის გამო, რომელიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გადახედვას ითვალისწინებდა. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის თქმით, რელიგიურ გაერთიანებათა უმრავლესობას მიაჩნია, რომ დისკრიმინაცია მთავრობის მიერ არსებული კანონმდებლობის არასათანადო აღსრულების შედეგია და არა საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობის.

საანგარიშო წლის ბოლოსათვის მთავრობა განაგრძობდა 2015 წლის ნოემბრის იმ ორი ინციდენტის გამოძიებას, რომელიც თბილისის გარეუბან ვაზისუბანში იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზთან მოხდა. ინციდენტებისას შენობას ტყვიები ესროლეს, თუმცა არავინ დაშავებულა.

### **უცხო ძალებისა და არასახელმწიფო აქტორთა მიერ ჩადენილი დარღვევები**

აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის მიღმა რჩებოდა. აღნიშნული რეგიონებიდან სანდო ინფორმაციის მოპოვება გართულებული იყო.

აფხაზეთში მიღებული დე-ფაქტო „კონსტიტუციის“ თანახმად, კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია, განურჩევლად რელიგიური რწმენისა. ყველას აქვს რელიგიის თავისუფლების უფლება და აკრძალულია გაერთიანებებისა და პარტიების ჩამოყალიბება, რომელთა მიზანი რელიგიური შუღლის გაღვივებაა.

ჟურნალისტური წყაროების თანახმად, სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო მთავრობამ იეჰოვას მოწმეები ოფიციალურ რელიგიურ ჯგუფად არ აღიარა. აფხაზეთში კი კვლავ მოქმედებდა იეჰოვას მოწმეებზე დე-ფაქტო მთავრობის მიერ დაწესებული აკრძალვა. ოქტომბერში ჟურნალისტურმა წყაროებმა გვაუწყეს, რომ სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის განცხადებით, რეგიონის ტერიტორიაზე 1 000-მდე იეჰოვას მოწმე იმყოფებოდა, მთავრობა კი კანონის მიღებას აპირებდა, რომლითაც იეჰოვას მოწმეთა ლიტერატურას „ექსტრემისტულად“ გამოაცხადებდა და მის გავრცელებას აკრძალავდა. გავრცელებული ინფორმაციით, დე-ფაქტო მთავრობა აპირებდა კანონპროექტის შემუშავებას, რომლის ძალითაც პირებს, რომლებიც რელიგიურ გაერთიანებებს საკუთრებას მიაქირავებდნენ, 50-100 000 რუბლით (819-1 639 დოლარი) დააჯარიმებდა.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, აგრეთვე პრესითა და ონლაინ-წყაროებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთში ადგილობრივი რელიგიური პირების მხრიდან იყო მცდელობა, რეგიონის ეკლესია ავტოკეფალური გაეხადათ. ზოგიერთ ადგილობრივ საეკლესიო პირს კი სურდა, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას დაქვემდებარებული ტაძრები რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში გადაეყვანა, ხოლო სხვებს ტაძრების კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადასვლა სურდათ.

გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს გალის რაიონის ოთხ ქართულ ეკლესიაში ღვთისმსახურების ჩატარების უფლება არ მისცა. ეთნიკურ ქართველებს მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების მოსმენის საშუალება არ ჰქონდათ. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ანგარიშის თანახმად, რეგიონის ქართული მოსახლეობა ზუგდიდში გადადიოდა და ღამით, მალულად ესწრებოდა ლოცვას, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულებისას, რადგან ქართველ სასულიერო პირებს ღიად ღვთისმსახურება აკრძალული ჰქონდათ.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, სამხრეთი ოსეთის ოთხიდან სამ რაიონში (ცხინვალი, ზნაური და ჯავა) ქართული ეკლესიები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გამოეყვნენ და ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიას შეუერთდნენ. მეოთხე რაიონში, ახალგორში კი, რვა მოქმედ ქართულ ეკლესიაში, გავრცელებული ცნობებით, მხოლოდ ორ სასულიერო პირს, ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტ ისაია ჭანტურიასა და ერთ მღვდელს, ანტონ ჩაკვეტაძეს ჰქონდათ წირვის ჩატარების საშუალება.

აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის გარეთ მცხოვრებ პირებს აღნიშნულ ტერიტორიებზე შესვლა კვლავ გართულებული ჰქონდათ, მათ შორის იმ დროსაც, როდესაც ისინი ოჯახის წევრთა საფლავების მოსანახულებლად მიდიოდნენ.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანახმად, არსებობდა საფრთხე, რომ სამხრეთი ოსეთის ადგილობრივი ხელისუფლება გაათეთრებდა, ან სხვაგვარად შეუცვლიდა იერს ქართულ რელიგიურ ნაგებობებს სამაჩაბლოში და ფრესკებს თირის მონასტერში.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, აფხაზეთში ქართული ეკლესიები „სავალალო მდგომარეობაში“ იყვნენ და თითქმის ყველა მათგანში ადგილობრივ ხელისუფლებას ფრესკები წაშლილი ჰქონდა.

### **ნაწილი III. საზოგადოების მიერ რელიგიური თავისუფლების პატივისცემა**

იეჰოვას მოწმეები კვლავ იუწყებოდნენ მათ რელიგიურ საქმიანობაში ხელის შეშლის შესახებ. ხელის შეშლა მოიცავდა ფიზიკური თავდასხმის 11 შემთხვევასაც. ერთ-ერთი ამგვარი ინციდენტისას, ივლისში, იეჰოვას მოწმე ორი ქალბატონი ალექსანდრეს ბაღში ბიბლიას არიგებდა, როდესაც გამვლელმა მათ წიხლები დაუშინა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ტანსაცმელი შემოახია. მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინეს. წლის ბოლოსათვის საქმეზე გამოძიება ჯერ ისევ მიმდინარეობდა. კიდევ ერთი ინციდენტისას, უცნობმა თავდამსხმელებმა ჯგუფის წევრებს ქვები დაუშინეს.

რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები იუწყებოდნენ, მათი სიტყვებით, საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული რწმენის შესახებ, რომ რელიგიური უმცირესობები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებს საფრთხეს უქმნიან. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ცნობით, საქართველოს

მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურები რელიგიური უმცირესობების მიმართ საზოგადოებაში არსებული მტრული განწყობების ხელშეწყობას აგრძელებდნენ.

ოქტომბერში, პაპ ფრანცისკეს სტუმრობისას, პრესამ გაავრცელა ინფორმაცია საპროტესტო აქციის შესახებ, რომელშიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურთა მცირე ჯგუფიც მონაწილეობდა. ისინი პაპს შეხვდნენ წარწერებით, რომელიც მას ანტი-ქრისტიანულად და სხვა შეურაცხმყოფელი ტერმინებით მოიხსენიებდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა წარმომადგენლებმა პაპს უწოდეს „მწვალებელი“, „მართლმადიდებლობის ყველაზე დიდი მტერი - უფრო დიდი, ვიდრე ისლამი“ და „ცხვრის ტყავში გახვეული მგელი.“ ზოგიერთმა დასავლურმა გამოცემამ დაწერა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელები პაპ ფრანცისკეს ცივად შეხვდნენ და 1 ოქტომბერს, თბილისში გამართულ მის მესას არ დაესწრნენ. თუმცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი პაპ ფრანცისკეს ჩამოსვლისთანავე შეხვდა და გაავრცელა განცხადება, სადაც დაგმო ის მართლმადიდებელი მღვდლები, რომლებიც პაპის სტუმრობას აკრიტიკებდნენ.

რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები, მათ შორის, მუსლიმები, იეჰოვას მოწმეები, კათოლიკები და პროტესტანტები, განაგრძობდნენ წუხილს იმის გამო, რომ სალოცავებისა და რელიგიური სასწავლებლების დაარსებისას წინააღმდეგობა ხვდებოდათ.

იანვრიდან ოქტომბრამდე პერიოდში, სულ ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემებით, მედიის განვითარების ფონდმა დოკუმენტურად აღრიცხა ჟურნალისტების, პოლიტიკური პარტიების, სასულიერო პირების, საჯარო ორგანიზაციებისა და სხვათა რელიგიურად შეუწყნარებელი 69 განცხადებება, რომელიც ტელევიზიით, ონლაინ-გამოცემებითა და ბეჭდური მედიით გავრცელდა. მათ შორის იყო ახალი მეჩეთების მშენებლობასთან დაკავშირებული 31 „ისლამოფობიური“ და „თურქოფობიური“ განცხადება; პაპის სტუმრობასთან დაკავშირებული 18 ანტი-კათოლიკური განცხადება; აგრეთვე იეჰოვას მოწმეების საწინააღმდეგო 6, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის საწინააღმდეგო 3 და სხვა რელიგიური ჯგუფების საწინააღმდეგო 11 განცხადება.

იეჰოვას მოწმეებმა მათი საკუთრების დაზიანების შვიდი და ვანდალიზმის სამი შემთხვევის შესახებ განაცხადეს. 25 მაისს და 10 აგვისტოს, ქვემო ქართლში, იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზს ქვები დაუშინეს და შენობის ფასადი და გვერდითი კედელი დააზიანეს. პოლიციამ მაისის ინციდენტის მონაწილე პირი გამოავლინა და დააკითხა, მაგრამ მისთვის ბრალი არ წაუყენებია. პოლიცია აგრძელებდა აგვისტოს ინციდენტის გამოძიებას.

#### **ნაწილი IV. აშშ-ის მთავრობის პოლიტიკა**

ელჩი და აშშ-ის საელჩოს თანამშრომლები რეგულარულად ხვდებოდნენ მთავრობის, მათ შორის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებს, პრემიერ-მინისტრის მრჩეველს ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში და პრეზიდენტის მრჩეველს ეთნიკურ უმცირესობათა საკითხებში, რათა მთავრობისა და რელიგიურ უმცირესობათა დიალოგისთვის შეეწყოთ ხელი. საელჩოს თანამშრომლები

ხვდებოდნენ სახალხო დამცველსაც და მის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის წარმომადგენლებს.

საელჩო განაგრძობდა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებს, რომლებიც რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ, მათ შორის არიან კავშირი 21-ე საუკუნე, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რელიგიური შემწყნარებლობისა და საზოგადოებაში რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშესაწყობად.

ელჩი და საელჩოს თანამშრომლები ხვდებოდნენ ტრადიციული და არატრადიციული კონფესიების ლიდერებს. საელჩოს თანამშრომლები, ელჩის ჩათვლით, რამდენჯერმე ეწვივნენ პანკისის ხეობას, ახალქალაქს, ქვემო ქართლისა და აჭარის რეგიონებს, რათა შეხვედროდნენ ადგილობრივ რელიგიურ ლიდერებს სუნიტი მუსლიმური, სომხური მართლმადიდებლური და შიიტი მუსლიმური თემებიდან. შეხვედრებისას, საელჩოს თანამშრომლები კონფესიებს შორის ურთიერთგაგებაზე, დიალოგზე, პატივისცემასა და ყველა რელიგიის მშვიდობიან თანაცხოვრებაზე საუბრობდნენ.

თებერვალსა და ნოემბერში ელჩი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს, ილია II-ს შეხვდა. ორივე შეხვედრისას ელჩმა რელიგიური მრავალფეროვნებისა და შემწყნარებლობის საკითხში ეკლესიის როლის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი, განსაკუთრებით, საპარლამენტო არჩევნების პერიოდში.

მარტში ელჩმა რომის კათოლიკური ეკლესიის, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის, მეშვიდე დღის ადვენტისტთა, სახარების რწმენის ეკლესიის, სომხური სამოციქულო ეკლესიის, იეზიდთა, ებრაული, მუსლიმი და კუთერანული თემების წარმომადგენლებს უმასპინძლა და განიხილა, თუ რამდენად თავისუფლად შეეძლოთ მათ რელიგიური ღვთისმსახურების აღსრულება.

აპრილში საელჩომ სამოქალაქო საზოგადოების ოთხი წარმომადგენელი რელიგიის თავისუფლებისა და კონფესიათა ურთიერთობის საკითხებზე შექმნილი პროგრამით შეერთებულ შტატებში გაგზავნა. პროგრამის მონაწილეებმა შეიტყვეს, თუ როგორ შეიძლება საზოგადოებასთან მუშაობამ ხელი შეუწყოს ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ საზოგადოებრივი წინააღმდეგობის ჩამოყალიბებას.

ოქტომბერში საელჩოს თანამშრომლები ეწვივნენ ქობულეთის ჯერ არგახსნილ სკოლა-პანსიონს, რათა სკოლის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი მუსლიმი თემისთვის მხარდაჭერა გამოეხატათ.